ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-163
(კონსოლიდირებული ტენდერი CON180000004)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 05 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, შემდგომში – „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის გიორგი მაჩაბლის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „პენსან ჯორჯია", შემდგომში – „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე„ 2018 წელს A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 დეკემბრის №2531 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - „მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (შემდგომში - საბეჭდი ქაღალდი) შესყიდვა (CPV30197630), რომელიც აკმაყოფილებს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობაა 100 შეკვრა (500 ფურცლიანი) A4 ფორმატის, უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 725.00 (შვიდას ოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 7.25 (შვიდი ლარი და 25 თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3.4 დაფინანსების წყარო: ***სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი" (პროგრამული კოდი: 32 02 02 03).***

3. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შესაბამისად (შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი სახით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით - pensan.georgia@gmail.com);

4.2 საქონლის გადაცემის ადგილია ქ. თბილისი, თამარმეფის გამზირი №18;

4.3 საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით;
4.4 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ერთიანად „შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.
5.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
5.3 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებით მოთხოვნილი საქონლის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საწყობის მენეჯერს გოჩა ბასილაიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

6. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

6.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) დაიცვას ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.
6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, რომ მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
6.3 **შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.
6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით.
7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ
დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.
7.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
7.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის" წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი" შესყიდვების კოორდიანტორი **ივანე კვიტაიშვილი**, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

112 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

11.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4
რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ: GE24 NB03 3010 0200 1650 22
საიდენთიფიკაციო ნომერი: 202374251

გიორგი მაჩახელი
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს „პენსან ჯორჯია"

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
რეკვიზიტები: ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ნ: GE35 VT65 0000 0055 5555 55
საიდენთიფიკაციო ნომერი: 404870760

გიგა ფობიანიძე
დირექტორი

ხელშეკრულების საგნის აღწერა
უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გრამაჟი (გრ/მ²) – 77– 82;
2 სისქე (um) - 104 – 110;
3. სითეთრე (CIE) - არანაკლებ 148;
4. გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 94%;
5. სიკაშკაშე – არანაკლებ 98% ;
6. ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან - არაუმეტეს 150;
7. ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
8. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე;
9. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ხის მერქნისგან;
10. ქაღალდს უნდა გააჩნდეს ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამის მიერ გაცემული ლიცენზია/ სერტიფიკატი;
11. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;
12. ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4
რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ: GE24 NB03 3010 0200 1650 22
საიდენთიფიკაციო ნომერი: 202374251

გიორგი მაჩაბელი
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს „პენსან ჯორჯია"

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
რეკვიზიტები: ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ნ: GE35 VT65 0000 0055 5555 55
საიდენთიფიკაციო ნომერი: 404870760

გიგა გობიანიძე
დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურეთ, რომ 2018 წლის 05 სექტემბერს გაფორმებული **№01-03-163** ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გმოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით
ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების
პროექტის შესყიდვების კოორდინატორი

ივანე ჯვიტაიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის საწყობის მენეჯერი

გოჩა ბასილაია

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

დავით ხვედელიძე

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ათასწლეულის გმოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით
ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული
განვითარების პროექტის მენეჯერი

ნატალია დიშერაშვილი

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური
რესურსების სამსახურის უფროსი

ია ძებისაური

ვიზირება:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის შესყიდვების ჯგუფის უფროსი

სიკო გიგოლაშვილი

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

გიორგი მაჩაბელი